ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

2022 წ.

ზუგდიდი

სარჩევი

1. შესავალი ---------- 3
2. მუნიციპალიტეტის სოციალურ-დემოგრაფიული აღწერა ----------4
3. არსებული სოციალური პროგრამების მოკლე მიმოხილვა ----------4
4. კვლევის აღწერა ----------9
5. კვლევის მეთოდები და სამიზნე ჯგუფები ----------9
6. ფოკუს - ჯგუფის დისკუსიები ----------11
7. კვლევის შეზღუდვები ----------12
8. კვლევის ძირითადი მიგნებები და პრორიტეტები ----------13
9. ტერმინთა განმარტება ----------19
10. დანართები ----------20
11. გამოყენებული ლიტერატურა ----------20

შესავალი

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია („ათეა“), გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საქართველოს 10 საპილოტე მუნიციპალიტეტში მ/წელს ახორციელებდა პროექტს „საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვსა და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში“. ამ მიზნით „ათეასა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. შემდგომ, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლისა და გამოვლენის მიზნით, 2022 წლის 6 მაისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის **N ბ24.242215712** ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის“ დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა მერიის სამსახურებისა (სოციალური და ჯანდაცვის, საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების, ასევე, ადმინისტრაციული სამსახური)და არასამთავრობო სექტორის (სულ) 17 წარმომადგენლით. ამავე ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო დოკუმენტაცია, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

ა) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (შშმ სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე), აგრეთვე გავნითარების სირთულის მქონე ბავშვი“;

ბ) „ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირი“;

გ) „ღარიბი ბავშვიანი ოჯახი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე) და ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი“;

დ) „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი“;

ე) ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვი (შშმ სტატუსის მქონე/სტატუსის არმქონე)“.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-დემოგრაფიული აღწერა

ზუგდიდი სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში მდებარე მუნიციპალიტეტია, მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ზუგდიდი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 668 კვ.კმ-ს. სტატისტიკის ერვნული სამსახურის 2022 წლის 1 იანვრის აღწერის საფუძველზე დაყრდნობით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 97 100-ს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 53 ადმინისტრაციულ ერთეულად, აქედან 5 წარმოადგენს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულს, ხოლო 48 - თემის.

კვლევის დასაწყისში სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა საჭიროებათა კვლევის გეგმა-გრაფიკი, გამოთხოვილ იქნა თემატური სტატისტიკური მონაცემები კვლევის სამიზნე ჯგუფებში შემავალი მოწყვლადი კატეგორიების შესახებ, ასევე, განხორციელდა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და განისაზღვრა სამიზნე ჯგუფების წევრთა და რესპონდენტთა სავარაუდო რაოდენობა.

არსებული სოციალური პროგრამების მოკლე მიმოხილვა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **4 182.7 ათასი** ლარით, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის 8%-ს შეადგენს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 2022 წლისათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით შემდეგ ძირითად პროგრამებს ახორციელებს:

ჯანმრთელობის დაცვა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურების, ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას, იშვიათი დაავადებების მქონე, ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე და მძიმე ოკოლოგიური ავადმყოფების ფინანსურ მხარდაჭერას, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას სკრინინგული პროგრამების მხარდაჭერის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და დაავადებების პრევენცია-პროფილაქტიკაზე ცნობიერების ამაღლების გზით.

ჯანდაცვის პროგრამების ნაწილია ასევე, ბავშვებზე მიმართული ისეთი პროგრამები, როგორიცაა:

ქვეპროგრამის დასახელება	მოკლე აღწერა
0-18 წლამდე ასაკი ბავშვების აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროგრამა	პროგრამა მოიცავს: ა). აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამას 105[1] ბავშვისთვის და მომსახურების დაფინანსებას თვეში არაუმეტეს 18 საათისა. ბ). სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსებას / თანადაფინასებას, რომელიც მოცავს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთათვის 500 ლარის ოდენობით დაფინანსებას, ხოლო სტატუსის არ მქონისათვის კი 300 ლარის ოდენობით დაფინანსებას წლის განმავლობაში.
იშვიათი დაავადებების მქონე პირებისათვის სპეცილიზირებული საკვების შეძენის პროგრამა.	ფენილკეტონურიით, ცელიაკიითა და მუკოვისციდოზით დაავადებული 0-18 წლამდე პირებისთვის ყოველთვიურად არაუმეტეს 500 ლარის ოდენობისა.
ბავშვისთვის სასმენი აპარატის / პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება	კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე **ბავშვისთვის სასმენი აპარატის / პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება.** თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 ლარი წელიწადში და ჯამში, 3 ბავშვისთვის არის განსაზღვრული წლის განმავლობაში.

ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება	მოსარგებლეები: ა) სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 ნაკლები); ბ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები: გ) შშმ პირები; დ) ონკოლოგიური ავადმყოფები; ე) ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქცი დაავადება, დიაბეტი, გლაუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსო დაავადება) მქონე პირები; მაქსიმალური ლიმიტი- 150 (ას ორმოცდაათი) ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის-400 ლ დაფინანსება წელიწადში ერთხელ.
სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ. მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები; ასევე, პირები, რომელთა ოპერაციაც არ ფინანსდება საყოველთაო ან/და კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ
ძვირადღირებული გამოკვლევების დაფინანსება	ა) კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგ კორონაროგრაფია არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა. დაფინანსება წელიწადში ერთხელ. მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული (შემდგომში სოც. დაუცველები) პირები (სარეიტინგო ქულა 1 ზე ნაკლები), 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შშმ პირები, სიმსივნით დაავადებულები, ს დაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექ.პერსი პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, პირები, რო ზემოხსენებული მომსახურების ღირებულება 500 ლარი და მეტია . ბ) PET/კტ კვლევის თანადაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 1 (ერთი ათასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.
პალიატიურიზრუნვის საჭიროების მქონე 0-18 წლამდე შშმ პირების ფულადი დახმარება	სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალისა და მოვლის საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა, ყოველთვიურად 200 ლ ოდენობით.

სოციალური დაცვა:

ქვეპროგრამის დასახელება	მოკლე აღწერა
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის (უფასო სასადილო) პროგრამა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა **ცხელი სადილით უზრუნველყოფას (ყოველდღიურად) დღეში ერთხელ**. სასადილოს სერვისის მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა, მათ შორის ბავშვიანი ოჯახები **(სულ 280 ბენეფიციარი)**. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში.
გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება	პროგრამა ითვალისწინებს **ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის** (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა და ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით) მქონე პირთა **ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 100-800 (ასი-რვაასი) ლარის ოდენობით**, სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში **ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული**

	ცენტრის სერვისის დაფინანსებას; **,, ქალთა ოთახის" ფინანსურ მხარადჭერას**; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და **გენდერული თანასწორობის საკითხებზე განსახორციელებელი აქტივობების** ფინანსურ მხარდაჭერას; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის ფუნქციონერების მხარდაჭერას. პროგრამა ასევე ითვალიწინებს **ბავშვთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერად ფულად დახმარებებს:** მრავალშვილიანი ოჯახებისთვის - 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 (ორასი) ლარი; 5 ბავშვზე–300 (სამასი) ლარი და ა.შ; პირველი–მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65001 – ზე ნაკლები)– 200 (ორასი) ლარი ; ტყუპების შეძენისას – 500 (ხუთასი) ლარი; დედ–მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყოველთვიური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით; მარტოხელა მშობლის, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი ქორწინების გარეშე- ყოველთვიური დახმარება - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	პროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფინანსურ მხარდაჭერას, მათ რეაბილიტაციას და რეინტეგრაციის ხელშეწყობას საზოგადოებაში. **18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის** ოდენობით, გარდა მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი უწყვეტ პროგრამაში ჩართული ბავშვებისა. **სმენა და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური ხარჯების თანადაფინანსების მიზნით გაეწევათ ფულადი დახმარება 25-25 (ოცდახუთი- ოცდახუთი) ლარის ოდენობით 4 თვის განმავლობაში**. შშმ პირებს (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები), რომლებსაც ჰყავთ მუდმივი მზრუნვის საჭიროების მქონე მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე ავადმყოფი შეუძლიათ ისარგებლონ მომვლელის პროგრამის მხარდაჭერით, რომელიც ითვალისწინებს **ზრუნვის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის მოვლის საზღაურის დაფინანსებას ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით**.
მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მარჩანალდაკარგულთა ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას: მარჩენალდაკარგულ ოჯახს, რომელსაც ჰყავს **18 წლამდე შვილი ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით ეძლევა 200 (ორასი) ლარი წელიწადში.**
სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	სადღესასწაულო დღეებში საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეების (ადგილობრივი და დევნილი), **დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების,** 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისთვის, ასევე, **განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა– ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით.** შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 დეკემბერი, 1 ოქტომბერი).
სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების

	გაუმჯობესება, ფინანსური და მორალური თანადგომა. **უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით (100 ლარი ყოველთვიურად) უზრუნველყოფა.**
დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე** (მარტოხელა დედები, მარტოხელა ხანდაზმულები; შშმ პირი; სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), მძიმე დაავადების მქონე პირები და ა.შ.) **დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.**
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა	ზამთრის პერიოდში სოციალურად დაუცველი, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადების თანადაფინანსებას, ბუნებრივი აირის შეყვანას და განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე პირთა ფინანსურ მხარდაჭერას. **სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35001-ზე ნაკლები) პროგრამა ითვალისწინებს კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებას 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ბუნებრივი აირის შეყვანას იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 35001-ს.**
სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	პროგრამა მიზნად ისახავს **მოწყვლადი ჯგუფების** (სოციალურად დაუცველი, შშმ, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, ზრუნვის სისტემიდან გასული, მარჩენალდაკარგული და ა. შ.) **ჩართულობას პროექტებში, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას.** წარმოდგენილი პროექტები შეირჩევა მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი შესაბამისი კომისიისა და დებულების მიხედვით.
უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	პროგრამა ითვალისწინებს **უსახლკარო, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ხოლო მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით ერთი თბილი ოთახის მოწყობას** (მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული პროექტის, დებულების და სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით).
სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა	ქვეპროგრამის მიზანია სოციალური საფრთხის მქონე ბავშვების და მათი ოჯახების მატერიალური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა **მოწყვლად ჯგუფში შემავალი** (შშმ, სსმ, დანაშაულის/ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, ზრუნვის სისტემიდან გასული, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე და სხვა) **ბავშვების მატერიალურ დახმარებას ყოველთვიურად თითო ბავშვზე 50.0 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.**
კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მხარდაჭერის ქვეპროგრამა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს **კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების დასაქმების ხელშეწყობას** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე. შესრულებული საქმიანობა ანაზღაურდება ბენეფიტის სახით ყოველთვიურად **200 (ორასი) ლარის ოდენობით (არანაკლებ საარსებო მინიმუმისა). დასაქმების ვადა განისაზღვრება 4 თვით.** სამუშაო გრაფიკი ყოველ ბენეფიციარზე შემუშავდება ინდივიდუალურად.

ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა	ქვეპროგრამის მიზანია ბავშვებისთვის სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო და სოლიდარობის დღეებთან დაკავშირებით, დღის ცენტრების მონახულებას და ბავშვებისთვის **სხვადასხვა სახის საჩუქრების გადაცემას, საინფორმაციო ბუკლეტებისა და სხვა ბეჭდური მასალის მომზადებას, გავრცელებას, საინფორმაციო შეხვედრების, პრეზენტაციების დაგეგმვასა და მოწყობას ფოკუს-ჯგუფებთან.**
სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა	ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა პათოლოგიის მქონე ბავშვების ფიზიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 100 001-მდე) **18 წლამდე ასაკის სხვადასხვა პათოლოგიის მქონე ბავშვების საცურაო აუზით მომსახურების (AQUA-თერაპია) დაფინანსებას სამედიცინო დასკვნის საფუძველზე.** ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა ფიზიკური შეზღუდვის მქონე 15 ბავშვი კალენდარული (საბიუჯეტო) წლის დასრულებამდე.

კვლევის აღწერა

საჭიროებათა კვლევა არის დაგეგმვის პროცესის ნაწილი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა და იგი წარმოადგენს მტკიცებულებაზე დამყარებული სოციალური პოლიტიკის საფუძველს. საჭიროებათა იდენტიფიცირების პროცესში სამიზნე ჯგუფებთან, თემის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია ხელს უწყობს ერთი მხრივ, საჭიროებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამაღლებს მუნიციპალიტეტის მოხელეთა ინფორმირებულობას ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების, გამომწვევი მიზეზების, მოსახლეობის მოლოდინების შესახებ და ცალსახად, ზრდის ნდობას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მიმართ.

საჭიროებათა კვლევა იქნება საბაზისო დოკუმენტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა კვლევის შედეგების საფუძველზე გადაიხედოს არსებული პროგრამები და საფუძველი ჩაეყაროს ახალი სოციალური სერვისების დანერგვას. აღნიშნული მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს სოციალური მომსახურების ხარისხი და შეიქმნას უფრო ეფექტური მომსახურებები კვლევისთვის შერჩეული სამიზნე ჯგუფებისთვის.

კვლევის მეთოდები და სამიზნე ჯგუფები

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა ანკეტური გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრის საფუძველზე. კვლევაში გამოყენებულ იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიური დოკუმენტები, რომელიც, თავის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა.

მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, კვლევის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების გამოვლენა და აღრიცხვა ჩატარდა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მეშვეობით, თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ცალცალკე, ქვეჯგუფების მიხედვით. ამისათვის მერის წარმომადგენლებმა მოიძიეს და აღრიცხეს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე სამიზნე ჯგუფების სავარაუდო წარმომადგენლები, როგორც მოწყვლადობის სტატუსის მქონე პირები (სოციალურად დაუცველი, მარჩენალდაკარგული, შშმ პირი), ასევე ისეთი პირები და ოჯახები, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო ჯერ არ მიუმართავთ სახელმწიფო ორგანოებისთვის შესაბამისი სტატუსის მისაღებად, თუმცა, სავარაუდოდ, შესაძლებელია აკმაყოფილებდნენ სტატუსის მინიჭებისათვის დადგენილ კრიტერიუმებს. მერის წარმომადგენლის მიერ სამიზნე ჯგუფის წევრების მოძიებისას ივსებოდა პირველადი აღრიცხვის ფორმა (თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ცალკე), რომელშიც პირის თანხმობით მიეთითა პირის პერსონალური მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია და მიზნობრივი ჯგუფი. შევსებული აღრიცხვის ფორმა წარედგინა კვლევის სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილ წევრებს, აღნიშნული ინფორმაცია დახარისხდა და რაოდენობრივი მონაცემი შეტანილ იქნა აღრიცხვის შემაჯამებელ ფორმაში.

სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების რაოდენობრივი მონაცემებისა და კვლევის რეპრეზენტაბელურობის ზღვარის გათვალისწინებით დადგინდა თითოეული სამიზნე ჯგუფის (მ.შ. თითოეული ქვეჯგუფის) ფარგლებში რესპონდენტთა რაოდენობა. ანკეტური გამოკითხვისას რეპრეზენტაბელურობის ზღვარი სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებისთვის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში გათვალისწინებული იყო 1:10. კვლევის რესპონდენტები შეირჩნენ იმდაგვარად, რომ ყოფილიყო დაცული

გენდერული ბალანსი, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი. კვლევამ პროპორციულად მოიცვა სამიზნე ჯგუფის ყველა ქვეჯგუფი და ადმინისტრაციული ერთეულის ყველა დასახლება.

ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობის შესახებ, ასევე შესავსები ანკეტის ფორმები და შევსების ინსტრუქცია გადაეცა მერის წარმომადგენლებს და განესაზღვრათ კონკრეტული ვადა ინტერვიუების ჩასატარებლად. სამუშაო ჯგუფში განისაზღვრა პირები, რომლებიც ზოგად კოორდინაციას უწევდნენ მერის წარმომადგენლების მიერ ინტერვიუების ჩატარების პროცესს (რამდენიმე ადმ. ერთეულში გამოკითხვის პროცესში ჩართულები იყვნენ სამუშაო ჯგუფის წევრებიც), საჭიროების შემთვევაში უწევდნენ მათ კონსულტაციას და საბოლოოდ, იბარებდნენ შევსებულ ანკეტებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარმომადგენლებმა ველზე გასვლამდე გაიარეს ტრენინგები გამოკითხვის ჩატარების ტექნიკის შესახებ, აღნიშნული სწავლება ჩატარდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის, ასევე, სამუშაო ჯგუფის წარმომდგენლების მიერ.

ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ანკეტურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თემის 471 წარმომადგენელმა.

ცხრილი 1. კვლევის მონაწილეთა განაწილება რაოდენობების და სამიზნე ჯგუფის მიხედვით

მეთოდის დასახელება	**განმარტება / კომენტარი**	**მონაწილეთა რაოდენობა**
შშმ ბავშვი/სტატუსის მქონე	გამოკითხვა ჩატარებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ჩართულობით	56 ოჯახი
შშმ ბავშვი/სტატუსის არ მქონე	გამოკითხვა ჩატარებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ჩართულობით	16 ოჯახი
მშობელი შშმ	გამოკითხვა ჩატარებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ჩართულობით	9 ოჯახი
ბავშვი ღარიბი ოჯახიდან/სტატუსის მქონე	გამოკითხვა ჩატარებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ჩართულობით	285 ოჯახი
ბავშვი ღარიბი ოჯახიდან/სტატუსის არ მქონე	გამოკითხვა ჩატარებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ჩართულობით	66 ოჯახი
ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი	გამოკითხვა ჩატარებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ჩართულობით	9 ოჯახი
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვი	გამოკითხვ ჩატარებულია სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლების მიერ	30 ოჯახი
	მონაწილეთა ჯამი	**471**

სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების აღრიცხვის პარალელურად, სამუშაო ჯგუფის წევრები ფოკუს-ჯგუფური დისკუსიებისთვის ადგენდნენ დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალს - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ბავშვის უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე არასამთავრობო სექტორი, სათემო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა. დაინტერესებული მხარეების დადგენისას გათვალისწინებული იყო მათი საქმიანობის სფერო, საკითხის ცოდნა, გამოცდილება და, რაც მთავარია, მზაობა თანამშრომლობისთვის.

ფოკუს - ჯგუფის დისკუსიები

საჭიროებათა კვლევის მიზნებისთვის, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა ჯამში 8 ფოკუს-ჯგუფური დისკუსია (ჯგუფში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა 10-15 მონაწილე). ფოკუს ჯგუფის ხანგრძლივობა საშუალოდ იყო 1,5-2 საათი.

სოციოლოგიური კვლევის ეტაპებზე მიღებული ინფორმაცია (მ.შ. სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისგან, ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წამომადგენლებისგან მიღებული ინფორმაცია) დახარისხდა სამიზნე ჯგუფების მიხედვით. მონაცემთა დამუშავებისას გამოიყო საერთო საჭიროებები, რომელიც თანაბრად ეხება ყველა მიზნობრივ ჯგუფს და განსაკუთრებული/კონკრეტული საჭიროებები, რომელიც მხოლოდ ჯგუფის შემადგენელ ცალკეულ სეგმენტებს ეხება.

ფოკუს-ჯგუფურმა დისკუსიამ მოიცვა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- **ფოკუს ჯგუფი - საჯარო დაწესებულებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები**

შეხვედრას ესწრებოდნენ - ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები, სოციალური დაცვის, ბავშვთა დაცვის და სიღარიბის შემცირებაზე მომუშავე როგორც საჯარო დაწესებულებები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები (მ.შ. მშობელთა ორგანიზაციები, ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები) წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები.

- **ფოკუს ჯგუფი - უწყებათაშორისი კომისია**

კომისიის წევრებს მიეწოდა ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ზოგადად, პროექტის შესახებ. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო კვლევის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფზე - **,,ძალადობის მსხვერპლი ბავშვები“** - ინფორმაციის მოპოვება და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება კომპეტენტური პირებისგან. საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ანკეტური გამოკითხვა ამ ჯგუფში არ ჩატარებულა. ინფორმაციები მოპოვებულ იქნა ფოკუს-ჯგუფებიდან.

- **ფოკუს ჯგუფი - ამბულატორიის ექიმები**

დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ზოგადად, პროექტის შესახებ. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო კვლევის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მათი მხრიდან მაქსიმალური ჩართულობის თხოვნა.

- **ფოკუს-ჯგუფი - სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგები**

დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ზოგადად, პროექტის შესახებ. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო კვლევის ერთ-ერთ სამიზნე

ჯგუფზე - ,,**შშმ ბავშვები/ძალადობის მსხვერპლი ბავშვები“-** ინფორმაციის მოპოვება და მათი საჭიროებების გამოვლენა.

- **ფოკუს-ჯგუფი - სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები**

დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ზოგადად, პროექტის შესახებ. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო კვლევის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფზე - ,,**ძალადობის მსხვერპლი ბავშვები’ -** ინფორმაციის მოპოვება და მათი საჭიროებების გამოვლენა.

- **ფოკუს ჯგუფი - შშმ ბავშვების მშობლები**

მოწვეულ მშობლებს მიეწოდა ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ზოგადად, პროექტის შესახებ. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო კვლევის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფზე - ,,**შშმ ბავშვები/განვითარების სირთულის მქონე ბავშვი“-** ინფორმაციის მოპოვება და მათი საჭიროებების გამოვლენა.

- **ფოკუს ჯგუფი - შშმ ბავშვებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები**

დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ზოგადად, პროექტის შესახებ. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო კვლევის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფზე - ,,**შშმ ბავშვები“** - ინფორმაციის მოპოვება და მათი საჭიროებების გამოვლენა.

- **ფოკუს ჯგუფი - ღარიბი ოჯახები**

მოწვეულ მშობლებს მიეწოდა ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ზოგადად, პროექტის შესახებ. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო კვლევის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფზე - **,,ღარიბი ბავშვიანი ოჯახი“** -ინფორმაციის მოპოვება და მათი საჭიროებების გამოვლენა.

კვლევის შეზღუდვები

კვლევით შეზღუდვებს წარმოადგენდა ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ მსგავსი ტიპის კვლევების უკეთ დაგეგმვისა და განხორციელების მიზნებისთვის:

- სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლების მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა სამიზნე კატეგორიების რაოდენობის შემცირება 2-3 სამიზნე კატეგორიამდე, რაც ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და სამუშაო ჯგუფის წევრებს ანკეტირების პროცესს გაუადვილებდა და შედეგს მეტად სრულყოფილს გახდიდა. ასევე, მნიშვნელოვანია ინტერვიუერის გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისწორეს და მაქსიმალურ მოძიებას. ამდენად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ანკეტირების პროცესი მოიცავდა ხარვეზებს, რაც განპირობებული იყო გამოცდილების ნაკლებობით, თუმცა მიღებული გამოცდილება სამომავლოდ გაზრდის ამ მიმართულებით მათი საქმიანობის ხარისხს.
- კვლევის გამოკითხვის ეტაპმა, ასევე, გამოავლინა **კითხვარის შედარებით რთული სტრუქტურა.** უმჯობესი იქნებოდა, შემუშავებულიყო ნაკლებად რთული სტრუქტურის და მოცულობის კითხვარი. როგორც შეხვედრებისას დაფიქსირდა, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები ემხრობოდნენ რამდენიმე ღია კითხვის დახურვას, ვინაიდან მოქალაქეებს უჭირდათ პასუხის გაცემა, რაც დისკომფორტის შემქმნელი იყო მათთვის.

- ინტერვიუერის შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესი იქნებოდა კვლევის განხორცილების და მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ონლაინ პროგრამის გამოყენება, რაც იძლევა მონაცემთა დათვლის კარგ შესაძლებლობას და ამცირებს ინტერვიუერის მხრიდან შეცდომის დაშვების ალბათობას.

საჭიროებათა კვლევაში გამოყენებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტები.

კვლევის ძირითადი მიზნებები და პრიორიტეტები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებულ ფოკუს ჯუფურ შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, სოციალური დაცვის, ბავშვთა დაცვის და სიღარიბის შემცირებაზე მომუშავე საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები - ჯამში, 50 წარმომადგენელი. შეხვედრების ანგარიშების ანალიზის შედეგად, იკვეთება:

ზოგადი სახის გამოწვევები თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის:

- უმთავრეს გამოწვევად სახელდება მშობელთა დაბალი ცნობიერება. ძირითად საჭიროებად დასახელდა მშობლების ცნობიერების დონის ამაღლება, ამ მიმართულებით ოჯახის გაძლიერებაზე მუშაობა, „ვინაიდან ბავშვზე ძალადობის მეტი წილი მოდის ოჯახიდან“.
- ასევე, გამოიკვეთა ფსიქოლოგის / ფსიქოლოგიური მომსახურების საჭიროება სკოლაში და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში, ბაღებისა და სკოლების დონეზე ძალადობის პრევენციისთვის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა და ფაქტების დროული გამოვლენა.

სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები და მათ ოჯახებში არსებული გამოწვევები:

- „მშობლებმა ძირითად პრობლემად დაასახელეს არასრულფასოვანი კვება და შეუსაბამო საცხოვრებელი პირობები, რაც ზიანს აყენებს მოზარდის ორგანიზმს. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია შვილებისთვის სრულფასოვანი განათლების მიწოდება, დამატებითი წრეების (მათ შორის უცხო ენის შემსწავლელი) საჭიროება და ინტერნეტთან წვდომა“.
- მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა უფასო კურსების შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევში უჭირთ ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფაც.
- „შეხვედრის ბოლოს, მშობლებმა გამოიჩინეს ინიციატივა, გადამზადდნენ და ჰქონდეთ პროფესია, რა მიზნითაც ისინი შეხვედრის შემდეგ მყისიერად გადამისამართდნენ მუნიციპალიტეტის ახალ სერვის-ცენტრში - „ქალთა ოთახი“. ქალთა ოთახი, ეს არის სივრცე, სადაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი გოგოებსა და ქალებს, აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული საინფორმაციო/საკონსულტაციო სერვისები. ,,ქალთა ოთახი“ 2022 წლის 8 მარტიდან ფუნქციონირებს და ის წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების ერთ-ერთ სერვისს.

ძალადობის მსხვერპლ / მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებთან მიმართებით არსებული გამოწვევები:

შეხვედრაზე იქნა გაჟღერებული საკითხი იმის შესახებ, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები გრძელვადიან პერსპექტივაში „ქრებიან უწყებების თვალთახედვიდან“, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერ იღებენ გრძელვადიან მხარდაჭერას ფსიქო-ემოციური რეაბილიტაციის კუთხით - არ არსებობს მათთვის თერაპიული

სარეაბილიტაციო მომსახურებები. ძალადობის შემსწრე ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ არის ხელისაწვდომი;

- სააღმზრდელო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და ადრეული ინტერვენცია, ასევე, სახელდება პრიორიტეტად. მათ შორის, ყურადღება მახვილდება პედაგოგების მხრიდან განხორციებულ ძალადობაზე, განსაკუთრებით ემოციური ტიპის ძალადობაზე;
- გამოიკვეთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მხრიდან ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულობისა და მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი. როგორც შეხვედრებისას აღინიშნა, ადვილია მათთვის ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება, თუმცა ნაკლები ინფორმაცია აქვთ რეაგირების მექანიზმებზე. ძალადობაზე შეტყობინების ხელისშემშლელ დამატებით ფაქტორად დასახელდა პოლიციის მხრიდან განმცხადებლის მხარის ანონიმურობასთან დაკავშირებული პრობლემა;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /განვითარების სირთულის მქონე ბავშვებთან მიმართებით არსებული გამოწვევები:

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების ბაღებში სრულყოფილი ინტეგრირების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს აღმზრდელების რაოდენობის გაზრდა, ვინაიდან, საკმაოდ რთულია ერთი ან ორი აღმზრდელისთვის ყურადღება მიაქციოს სპეც. საჭიროების მქონე ბავშვს და ამასთან ყურადღების მიღმა არ დარჩეს სხვა ბავშვები.
- ყურადღება გამახვილდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, არატიპიური განვითარების მქონე ბავშვებთან მომუშავე კვალიფიციურ ადამიანურ რესურსზე.

- მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას სპეციალური მასწავლებლების დეფიციტის საკითხი.
- ხშირ შემთხვევაში ბავშვების ჯანმრთელობის შესახებ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია არ ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის რეალურ სურათს, შედეგად პრობლემური ქცევის ბავშვები ხვდებიან სტანდარტულ ჯგუფებში, სადაც მათ უჭირთ ადაპტირება, აღმზრდელს კი ჯეროვანი ყურადღების მისაქცევად არ ყოფნის დროის რესურსი და კვალიფიკაცია;
- წარმატებული ინტერვენციების ერთეული შემთხვევები დაკავშირებულია პედაგოგის მაღალ კვალიფიკაციასა და პასუხისმგებლობასთან, მაგრამ დროში გახანგრძლივებულია და პედაგოგისგანაც დიდ მოთმინებას მოითხოვს;
- გამოიკვეთა არა მხოლოდ პრობლემურ ბავშვთან არამედ ოჯახთან კომპლექსური მუშაობის და ფსიქოლოგის ჩართულობის აუცილებლობა;
- ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტში ბაგა-ბაღების უმრავლესობა შშმ ბავშვებისთვის არ არის ადაპტირებული და ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლება პანდუსის არსებობით და შეზღუდულია მათი მეორე სართულზე გადაადგილება;
- მზარდი მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, პედაგოგები აღიარებენ და ადასტურებენ უწყვეტი განათლების უპირობო აუცილებლობას და ყველა თემატურ აქტივობაში ჩართულობის მზაობას.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებით მთავარ გამოწვევას კვლავ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ძალადობისგან დაცვა წარმოადგენს: „პრობლემურია: ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დაცვა, რეაბილიტაციის ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა, სოციალური მომსახურების სფეროში მომუშავე პროფესიონალი ფსიქოლოგების ნაკლებობა და აგრეთვე, შესაბამის უწყებებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა.“
- ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სადღეისოდ მოქმედი მუნიციპალური და ჯანდაცვის პროგრამებიდან 4 ინიცირებულია მშობლების მიერ, რაც თვითმმართველობისა და მოწყვლადი ჯგუფის კონსტრუქციული თანამშრომლობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

• მშობლების თქმით, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და დასაქმება. ამასთან, კვლავ პრობლემას წარმოადგენს ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საჭირო სტატისტიკის წარმოება და ანალიზი. ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო პროგრამები ვერ ფარავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მათ შორის, ბავშვების, საჭიროებებს.

• შეხვედრისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ინკლუზიური განათლების დაფინანსება ზოგადი განათლების საფეხურზე ფრაგმენტულია, არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები) დაფინანსების ერთიანი მექანიზმი. არსებული მოდელი ვერ პასუხობს ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს. კვლავ გამოწვევად რჩება ინკლუზიური განათლების პროცესში სწავლების ხარისხი და უწყვეტობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესში. პრობლემას წარმოადგენს სპეციალური პედაგოგების რაოდენობა, კვალიფიკაცია, არაადაპტირებული ფიზიკური გარემო, ტრანსპორტირების მოუწესრიგებლობა, სასწავლო დაწესებულებების, საკლასო ინვენტარისა და სასწავლო მასალების მისაწვდომობა“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისთვის სათანადოდ არ არის დაცული ჯანმრთელობის დაცვის უფლება - არასრულწლოვანთა გარკვეული ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, ვერ იღებს სრულყოფილ სამედიცინო კონსულტაციას, გამოკვლევებსა და მედიკამენტებს.

ასევე, გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

• პერსონალური ასისტენტის საჭიროება;
• მშობლობის უნარების გაძლიერება;
• მამების როლის გაძლიერება;
• სმენადაქვეითებულების შემთხვევაში, თარჯიმანის ნაკლებობა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მათ სოციალიზაციას;
• განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
• ადაპტირებული სივრცეების ნაკლებობა;
• დღის ცენტრების დეფიციტი;

ორგანიზაცია “ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის” მიერ მომზადებულ ანგარიშში ასახულია ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების ძირითადი საჭიროებები:

ანკეტირების პროცესის დასრულების შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ შევსებული 471 ანკეტა და ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული შეხვედრის ანგარიში, დამუშავების მიზნით, გადაეცა კვლევით ორგანიზაციას “ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის” (ISC). პროექტის დამკვეთია საქართველოს ,,SOS ბავშვთა სოფელი“, ავსტრიის განვითარების სააგენტო და ,,SOS ბავშვთა სოფლის“ ავსტრიის წარმომადგენლობა. შევსებული კითხვარების გადაცემა განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და აიპ ,,ასოციაცია SOS ბავშვთა სოფელს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

აღნიშნული კვლევითი ორგანიზაციის მიერ ქალაქის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად იქნა ჩატარებული ანკეტირება მერიის მონაცემთა ბაზებიდან მიწოდებულ 83 ბავშვიან ოჯახთან, რასაც წინ უძღოდა მერიის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენელთა მიერ სპეციალურად შემუშავებული თანხმობის ფორმების შევსება (,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად). კვლევითი ორგანიზაციის მიერ წინამდებარე საჭიროებათა კვლევისთვის გამოყენებულ იქნა კვლევის **შერეული** (როგორც **რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი) მეთოდები** მონაცემთა შეგროვების მიზნებისთვის. ამასთან, კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება მოხდა როგორც **პირველადი ინფორმაციის წყაროებისგან** (შინამეურნეობების გამოკითხვის კვლევის რესპონდენტები, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტები) გამოყენებით, ასევე, გადამოწმებულ იქნა **მეორეული წყაროები,** რაც მოიაზრებს სამაგიდე/დოკუმენტაციის ანალიზს. ჯამში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თემის 638

წარმომადგენლმა, მათ შორის 554 ოჯახი/რესპონდენტი გამოიკითხა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, ხოლო 84 მონაწილე დაფარა თვისებრივმა კვლევამ. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

სიღარიბე / დეპრივაცია.

ბავშვიანი ოჯახებისთვის გამოწვევას წარმოადგენს სიღარიბე, უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები, რომელიც ვლინდება სამიზნე ჯგუფების კომპლექსური და მრავალფეროვანი საჭიროებებით. პრიორიტეტულ საჭიროებებად დასახელდა ჯანსაღი კვება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სასწავლო ნივთები მოსწავლეებისთვის, ძირითადი მოხმარების ავეჯი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ბავშვების სკოლისგარეშე აქტივობებში ჩართვა, ტექნიკა და სათამაშოები, სოფლად, დამატებით, იკვეთება კომუნიკაციებთან და ინფრასტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებული სირთულეები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების სპეციფიკური საჭიროებები:

- რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, ქალაქად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები მათი ოჯახის საჭიროებებს შორის ყველაზე ხშირად ასახელებდნენ **მედიკამენტებისა / სამედიცინო დახმარების** საჭიროებას (80%-ის); ხოლო სოფლად მცხოვრები შშმ ბავშვების მშობლები (73.3%) კი **ფინანსურ დახმარებაზე** აკეთებდნენ აქცენტს.
- **ინკლუზიურ განათლებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა** იკვეთება ერთ-ერთ საჭიროებად შშმ / სსმ ბავშვებისთვის.
- თვისებრივი კვლევით იკვეთება, რომ **არსებული სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსება** შშმ ბავშვებისთვის უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერაა, თუმცა **არასაკმარისი** რიგ შემთხვევაში.
- ამასთან, რიგ შემთხვევებში პრობლემას წარმოადგენ **შშმ ბავშვების ტრანსპორტირების** (მათ შორის სკოლაში ჩართვის კუთხითაც) საკითხები, განსაკუთრებით იმ ფონზე რომ **გარემო არაადაპტირებულია**. აღნიშნული გვევლინება სკოლებსა და მომსახურებებში ბავშვების ჩართულობის მნიშვნელოვან ბარიერად.
- თვისებრივი კვლევის ფარგლებში, მნიშვნელოვან საჭიროებად სახელდება **პერსონალური ასისტენტის სერვისის განვითარება** და შშმ ბავშვების მშობლეთა მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება.
- **დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის** პროგრამის გაუმჯობესება, მათ შორის სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სმენის აპარატის და მისი შემადგენელი ნაწილების სრულად მიწოდება სახელდება, როგორც მნიშვნელოვანი საჭიროება.

ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობა და აღზრდის ძალადობრივი მიდგომები:

- სირთულეები იკვეთება მშობელ-შვილს შორის ურთიერთობაში, **მშობლების/მზრუნველების მხრიდან აღზრდის ძალადობრივი მიდგომების გამოყენებაში, მათ შორის ფსიქოლოგიურ წნეხსა და შვილებთან არასათანადო კომუნიკაციაში.** აღნიშნული შეიძლება შევაფასოთ, როგორც მშობლების მხრიდან გაუცნობიერებელი საჭიროება, განსხვავებით პირველადი (საბაზისო) საჭიროებებისგან.
- **ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მიდგომების (69%)** გამოყენება, რომლიც მოიცავს როგორც ფიზიკურ/სხეულებრივ დასჯას, ასევე ძალადობის ფსიქოლოგიურ ფორმებს. **არასათანადო მეთვალყურეობის ქვეშ დატოვებული ბავშვების** რაოდენობა სამგერელო ზემო სვანეთში - 8.4%; აღნიშნული მონაცემი ყველაზე მაღალი არის სწორედ სამეგრელოს რეგიონში, მაშინ როცა საქართველოს მასშტაბით საშუალო პროცენტული მაჩვენებელი წარმოადგენს 3.8%-ს.
- თვისებრივი კვლევის კომპონენტმა, მათ შორის ბავშვების/ახალგაზრდებისა და სპეციალისტების მონაწილეობით, შესაძლებლობა მოგვცა დაგვენახა ოჯახებისა და ბავშვების ისეთი საჭიროებები, როგორიცაა მშობელთა განათლებისა და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების **(დღის ცენტრები, სკოლის შემდგომი აქტივობები)** აუცილებლობა.

▪ ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების კუთხით, ხაზგასმით აღინიშნა **დღის ცენტრების მომსახურების გაფართოების** საჭიროება და არსებული დღის ცენტრის არასაკმარისობა საჭიროების მქონე ბავშვებთან / მომლოდინეებთან მიმართებით.

▪ აღსანიშნავია, რომ მაშინ როცა მშობლები უმეტესად აქცენტს აკეთებენ ფინანსურ დახმარებაზე, შემოსავლების ზრდასა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ბავშვები და ახალგაზრდები დამატებით მიუთითებენ მშობელთა განათლების / ინფორმირების აუცილებლობაზე ბავშვის აღზრდის საკითხებზე.

საზიანო გენდერული ნორმები და გენდერული ნიშნით ძალადობა:

▪ **ოჯახში ძალადობა** ასევე იკვეთება, როგორც თემისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა, მიუხედავად შესაბამის უწყებებთან მიმართვიანობის მაჩვენებლებისა - 2022 წლის 8 თვის მონაცემებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 255 შემთხვევაზე გამოიწერა შემაკავებელი ორდერი, ხოლო ოჯახში ძალადობის 73 შემთხვევაზე დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება.

▪ **სექსუალური შევიწროვება და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა** ასევე მზარდ პრობლემად სახელდება ძირითადი ინფორმანტების მიერ, რომლებიც მუშაობენ ძალადობის საკითხებზე. ამ კუთხით არ არსებობს როგორც სათანადო პრევეციული ღონისძიებები, ასევე რეაგირება ყველაზე საუკეთესო შემთხვევაშიც კი დაიყვანება შესაბამისი უწყებებთან მიმართვიანობაზე და ხელმისაწვდომი არ არის შემდგომი ფსიქო-სარეაბილიტაციო სახის მომსახურებები.

▪ თემში აქტუალურია **საზიანო გენდერული ნორმები და სტერეოტიპები.** ზრუნვის საქმიანობები კვლავაც ქალის ექსკლუზიურ პასუხისმგებლობად არის მიჩნეული, მიუხედავად იმისა რომ შეიმჩნევა ახალგაზრდა მამების გააქტიურობა. გადაუნაწილებული ზრუნვის პასუხისმგელობები / საოჯახო საქმეები ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება ქალების დასაქმებისა და ეკონომიკური გაძლიერების კუთხით. ახალგაზრდები მიუთითებენ, ბიჭებისა და გოგონების აღზრდის განსხვავებულ და საზიანო მიდგომებზე - გოგო დიასახლისი / მზრუნველი და ბიჭი - ოჯახის მარჩენალი / მემკვიდრე.

თემის დონეზე გამოკვეთილი სხვა ძირითადი საჭიროებები:

▪ თემის დონეზე **კრიტიკულად მნიშვნელოვან საჭიროებად იკვეთება, ბავშვებთან მომუშავე სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების, როგორიცაა ბაღები, სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები, ინსტიტუციური გაძლიერება** როგორც ადამიანური რესურსების, ასევე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.

▪ **ახალგაზრდები და მათთან მომუშავე სპეციალისტები** განსაკუთრებულ გამოწვევად ასახელენენ მულტიფუნქციური (შემეცნებით, გასართობი, რეკრეაციული და სპორტული) უსაფრთხო სივრცეების არარსებობას, პროფესიული მომზადების პროგრამების ერთფეროვან არჩევანს და ადგილზე დასაქმების მწირ შესაძლებლობებს.

▪ აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სფეროში მომუშავე სპეციალისტების მიერ დამატებით საჭიროებად გამოიკვეთა **თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისა** დ **მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების სარეაბილიტაციო მომსახურებების** მნიშვნელოვნებაც ადგილობრივ დონეზე.

ბავშვების, მშობლებისა და სპეციალისტების მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის:

▪ **ბავშვები/ახალგაზრდები** პრობლემის დაძლევის და ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გზად ასახელებენ: **ა). ბავშვების ცნობიერების ამაღლებას** მათ უფლებებსა და უფლებების დაცვის შესაძლებლობებზე; **ბ). მშობლეთა განათლებას** და ცნობიერების ამაღლებას ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე; **გ). მშობლეთა დასაქმებას ან/და ადეკვატურ ფინანსურ დახმარებას; გ). მასწავლებელთა მომზადებას** სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შესაქმენალად; **დ).** ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვებისათვის **სამედიცინო მომსახურების სრულად დაფინანსებასა** და **ე).**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ კეთილმოწყობასა და მულტი-ფუნქციური სივრცეების (შინაარსობრივად დატვირთული და მრავალფეროვანი) არსებობას, რომელიც მორგებულ იქნება ბავშვებსა და ახალგაზრდებაზე.

- **მშობლები/მზრუნველები** პრობლემის დაძლევისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების რამდენიმე ძირითად გზას ხედავენ, მათ შორის არის **ა). ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება** - ფულადი დახმარების გაზრდის ან/და დასაქმება-თვითდასაქმების ხელშეწყობის კუთხით; **ბ). ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების** (დღის ცენტრები, სკოლის შემდგომი გახანგრძლიევებული კლასები/წრეები და სხვ.) განვითარებასა და **გ). ბავშვებთან შემხებლობაში მყოფი სხვადასხვა დაწესებეულებების** (ბაღი, სკოლა და პოლიკლინიკა/ამბულატორია) **გაძლიერებას** შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ადამიანური რესურსებით.

- **სფეროში მომუშავე სხვადასხვა პროფესიონალები** ყურადღებას ამახვილებენ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი **ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერაზე,** კერძოდ კი: **ა) ბავშვთა სიღარიბის დაძლევაზე** - მშობელთა დასაქმებით / ეკონომიკური გაძლიერებით, ბავშვთა უნივერსალური ფულადი ბენეფიტებით, ოჯახის გაძლიერების მრავალკომპონენტიანი პროგრამებითა და მხარდამჭერი მომსახურებების განვითარება-გაუმჯობესების გზით; **ბ). ბავშვთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე** - ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების (მათ შორის სექსუალური ძალადობისაგან თავდაცვის გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით), ხოლო მშობლებისა და მზრუნველისთვის მშობელთა განათლების (უნარების გაუმჯობესება / პოზიტიური მშობლობა) მიწოდების გზით. **გ). ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაძლიერებაზე** - სამუშაო ძალის (სპეციალისტების) პროფესიული უნარების განვითარების, ბავშვებთან პირველად შემხებლობაში მყოფი დაწესებულებების ინსტიტუციური და უწყებათშორისი თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

ტერმინთა განმარტება

პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს და გამოიყენება მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით ;

უფლებამოსილი პირი - მუნიციპალიტეტის მიერ, კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული პირი, რომელიც მონაცემებს ამუშავებს მუნიციპალიტეტის სახელით ან/და მისი მიზნებიდან გამომდინარე. უფლებამოსილ პირად არ ჩაითვლება მუნიციპალიტეტთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი;

მონაცემთა მიმღები - ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის მონაცემთა მიმღებია მუნიციპალიტეტი, რომელსაც გადაეცა მონაცემები;

მონაცემთა დამუშავება - პერსონალური მონაცემის მიმართ განხორციელებული აქტიური ან/და პასიური სახის ნებისმიერი მოქმედება. დამუშავება შეიძლება, ასევე განხორციელდეს სრულად ავტომატური საშუალებებით, ნახევრად ავტომატური ან სრულად მექანიკური საშუალებებით;

მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი - 18 წლის ასაკამდე პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

განვითარების დარღვევის მქონე ბავშვი - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მაგრამ აქვს გამოხატული ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

სოციალურად დაუცველი პირი - ფიზიკური პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები;

ღარიბი ოჯახი – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია;

რეინტეგრირებული ბავშვი - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელიც ბავშვთა სახლიდან, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან ან მინდობითი აღზრდიდან ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვე/მზრუნველთან;

მრავალშვილიანი ოჯახი - ოჯახი 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვით.

დანართები

- კითხვარი;
- კვლევაში რესპონდენტების სახით მონაწილე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018) - მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MISC);
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტი.
3. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (NALAG) შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტაცია;
4. ორგანიზაცია "ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათის" (ISC) მიერ პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში" ფარგლებში შემუშავებული ანგარიში.